იეჰოვას მოწმეთა
ქრისტიანული კრება საქართველოში
THE CHRISTIAN CONGREGATION OF JEHOVAH'S WITNESSES IN GEORGIA
თბილისი, 0163, ბრილების ქუჩა №8 ტელ./Tel. (+995 32) 276-23-59 Brilebi Street, №8, Tbilisi, 0163

06 მარტი, 2026 წელი №09/26

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

წინამდებარე მინდობილობა ეძლევა **ლევან მამისაშვილს** (პირადი ნომერი: 01021001076) (შემდგომში „რწმუნებული“) მასზედ, რომ მას მინიჭებული აქვს უფლებამოსილება, იყოს **სსიპ „იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანული კრება საქართველოში“**-ის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 406134678) (შემდგომში „მარწმუნებელი“) წარმომადგენელი და „მარწმუნებელის“ სახელით, შემდეგ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით — მდებარე: ქ. თბილისი, ციხისძირის ქუჩა, N 20 (ს/კ 01.17.12.036.027) (შემდგომში „უძრავი ქონება“), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და მის ნებისმიერ სამსახურს მიმართოს, ჩააბაროს და შეათანხმოს შენობის ფასადისა და ეზოს ნებისმიერი სახის პროექტი, განცხადება, ფოტოები, ესკიზი და ნებისმიერი სხვა სახის დოკუმენტაცია და მიიღოს შესაბამისი ნებართვა, მათ შორის ეზოს ტერიტორიაზე განათების მონტაჟზე და ბეტონის ფილების განთავსებისთვის საჭირო ნებართვები და უზრუნველყოს ამასთან დაკავშირებული საჭირო მოქმედებებისა თუ პროცედურების განხორციელება.

„რწმუნებული“ უფლებამოსილია ზემოაღნიშნულ უძრავ ქონებაზე ჩააბაროს, მათ შორის ელექტრონული ფორმით ატვირთოს განცხადებები თუ სხვა სახის დოკუმენტები Tas.ge-ზე, „მარწმუნებლის“ სახელით განახორციელოს საჭირო დოკუმენტაციის მოძიება, წარდგენა და ყველა სხვა მოქმედების განხორციელება, რაც მისთვის დაკისრებული დავალების შესასრულებლად იქნება საჭირო.

„რწმუნებული“ უფლებამოსილია წარმოადგინოს „მარწმუნებელი“ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ნებისმიერ სამსახურში, ნოტარიუსთან, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში, არქივებში და ნებისმიერ სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსა თუ სხვა დაწესებულებაში თუ პირთან და შეიტანოს განცხადება, მათ შორის ელექტრონული ფორმით, Tas.ge-ზე ატვირთოს განცხადება, პროექტი თუ ნებისმიერი სახის დოკუმენტაცია, წარადგინოს ზეპირი ან/და წერილობითი მოთხოვნები და პოზიციები, გადაიხადოს შესაბამისი მოსაკრებელი და გადასახადები, მიიღოს პასუხი, გაეცნოს შესაბამის დოკუმენტაციას, გადაიღოს ასლები და წარადგინოს მათზე შენიშვნები.

„რწმუნებული“ ასევე უფლებამოსილია, „მარწმუნებლის“ სახელით შეასრულოს ნებისმიერი სხვა საჭირო მოქმედება, რაც შესაძლოა პირდაპირ არ არის მინდობილობაში მითითებული, მაგრამ დაკავშირებულია აღნიშნული დავალების შესრულებასთან.

მინდობილობა ძალაშია 2026 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

ადმინისტრაციის თავმჯდომარე: /თამაზ ხუციშვილი/

ადმინისტრაციის თავმჯდომარის მოადგილე: /ირაკლი მაღაშხია/